# საინფორმაციო ბიულეტენი | აპრილი

## სამუშაო შეხვედრა GIA-ს ინსტიტუციონალიზაციის საკითხთან დაკავშირებით

1 აპრილს პოლიტიკის შემუშავების პროცესში გენდერული გავლენის შეფასების ინსტიტუციონალიზაციის სამუშაო ჯგუფის მორიგი შეხვედრა გაიმართა მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და პარტნიორი დონორი ორგანიზაციების მონაწილეობით. კოორდინირებულ თანამშრომლობის მიზნით შედგა დისკუსია პოლიტიკის წარმოებისა და კანონშემოქმედებით პროცესებში GIA-ს დანერგვის საკითხთან დაკავშირებით.

## გენდერული თანასწორობის ახალი სახელმწიფო კონცეფცია დაინიცირებულია

გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის პროექტმა საგაერო ურთიერთობების, დარგობრივი ეკონომიკის, თავდაცვის, სპორტისა და განათლების კომიტეტების, აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მხარდაჭერა მოიპოვა უკვე მოიპოვა. კონცეფციის კომიტეტების მიერ განხილვის პროცესი კიდევ გრძელდება და სავარაუდოდ, მაისის თვეში დასრულდება.

## გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს სამუშაო შეხვედრები მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოებთან

მიმდინარე წლის 24, 28, 29 და 30 აპრილს გენდერული თანასწორობის საბჭომ დონორი ორგანიზაციების გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ორგანიზებით სამუშაო შეხვედრები გამართა გურიის, იმერეთისა და ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტების ადგილობრივ გენდერული თანასწორობის საბჭოებთან.

## სამუშაო შეხვედრა ძალადობის მსხვერპლთა კომპენსაციის საკითხზე

6 აპრილს სტამბულის კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში, გენდერული თანასწორობის საბჭომ ძალადობის მსხვერპლთა კომპენსაციის წესის შემუშავების მიმდინარეობასთან დაკავშირებით, სამუშაო შეხვედრა გამართა. სამუშაო შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე თამარ ბარკალაია და გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლები.

ფოტო: შეხვედრა მსხვერპლის კომპენსაციის საკითხზე

## სამუშაო შეხვედრა გენდერულად სეგრეგირებული სტატისტიკური მონაცემების დანერგვის თაობაზე

საბჭომ მონაწილეობა მიიღო 20 აპრილს გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ გამართულ უწყებათაშორის სამუშაო შეხვედრაზე, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობის თაობაზე გენდერულად სეგრეგირებული სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვის საკითხებს შეეხებოდა. ორგანიზაციის ექსპერტებმა მონაწილეებს გააცნეს ამ კუთხით დღეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობა და ის მინიმალური სტანდარტები, რომელთა დანერგვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულების ფარგლებში ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს.

# საინფორმაციო ბიულეტენი | აპრილი

## პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მირიანა სპოლიარიჩ ეგერი ესტუმრა

საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის მოადგილისა და UNDP-ის რეგიონული დირექტორის მირიანა სპოლიარიჩ ეგერის პარლამენტში ვიზიტი მარო მაყაშვილის სახელობის ოთახიდან დაიწყო. შეხვედრაზე მხარეებმა თანამშრომლობის სამომავლო გზებსა და შესაძლებლობაზე ისაუბრეს.

ფოტო: მირიანა სპოლიარიჩ ეგერის ვიზიტი პარლამენტში

## თანასწორობის თაობის ფორუმის ფარგლებში საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების აღსრულების მონიტორინგის ჯგუფის პირველი სამუშაო შეხვედრა

მიმდინარე წლის 27 აპრილს თანასწორობის თაობის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის ჯგუფის პირველი სამუშაო შეხვედრა ჩატარდა. ჯგუფის მიზანია შეიქმნას საკოორდინაციო მექანიზმი, რომელიც თანასწორობის თაობის ფორუმით აღებული სახელმწიფო ვალდებულებების შესრულებას გაუწევს კოორდინირებულ მონიტორინგს, რაც უზრუნველყოფს ვალდებულებების ჯეროვან და დროულ აღსრულებას.

## გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა

18 აპრილს გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა ჩატარდა, რომლის ფარგლებში საბჭომ მოისმინა ასოციაცია ,,საფარის" კვლევა ალიმენტის განსაზღვრისა და აღსრულების საკითხთან დაკავშირებით - აღნიშნული საკითხი საბჭოსა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის პრიოტიტეტია. აგრეთვე სხდომაზე კენჭი ეყარა ცვლილებას საბჭოს მიერ შექმნილი თანასწორობის თაობის ფაარგლებში ნაკისრი ვალდებულებების აღსრულების მონიტორინგის ჯგუფის წევრების შემადგენლობაში.

## ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება

ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოების საკითხის ფარგლებში საბჭომ მონაწილეობა მიიღო სოციალურ ფორუმსა და სამუშაო შეხვედრაში, რომელიც მიზნად ისახავდა ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების რეზოლუციის #1325 ეფექტურად განხორციელებასა და მთავრობის მეოთხე ეროვნული სამოქმედო გეგმის ლოკალიზაციის ხელშესაწყობას.

## გენდერული ბიუჯეტირების ტრენინგი აჭარის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისათვის

26 აპრილს მუნიციპალური თანამშრომლობის ფარგლებში საბჭოს ინიციატივითა და პარტნიორი დონორი ორგანიზაცია IFES-ის ორგანიზებით ჩატარდა ორდღანი ტრენინგების გენდერული ბიუჯეტირებისა და სტატისტიკის წარმოების მნიშვნელობის შესახებ. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალურ დონეზე არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოების წარმომადგენლებმა.

# საინფორმაციო ბიულეტენი | აპრილი

## შეხვედრა ორგანიზაცია EECMD-ს წარმომადგენლებთან

18 აპრილს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ორგანიზაცია „აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის“ (**EECMD**) წარმომადგენლებს შეხვდა. მხარეებმა ერთმანეთს მათი საქმიანობის ფარგლები გააცნეს და ისაუბრეს თანამშრომლობის სამომავლო შესაძლებლობებზე..

## საბჭო გრეის ჰოპერის ყოველწლიური დაჯილოდების ცერემონიას შეუერთდა

8 აპრილს საბჭო შეუერთდა გრეის ჰოპერის სახელობის ჯილდოზე ქალების გაძლიერების პროგრამის ნომინაციას და დააჯილდოვებს იმ ორგანიზაციას, რომელიც განსაკუთრებულ წვლილს შეიტანს ქალებისა და გოგოების ტექნოლოგიებში ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

## თანამშრომლობის გაღრმავება საერთაშორისო პარტნიორებთან

გენდერული თანასწორობის საკითხების უზრუნველყოფის მიზნით თანამშრომლობის ფარგლებში საბჭოს თავმჯდომარე საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ახალ ხელმძღვანელს რენატა ლევოვსკისა შეხვდა.
საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანი უნგრეთის ელჩს ანა მარია შიკოს შეხვდა. მხარეებმა თანამშრომლობის ასპექტები განიხილეს, როგორც გენდერული თანასწორობის, აგრეთვე სოფლის მეურნეობის საკითხებში ქალთა მონაწილეობისა და გაძლიერების კუთხით.

## შეხვედრა USAID-ის მისიის ხელმძღვანელთან, პიტერ ვიბლერთან

18 აპრილს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე და წევრები USAID-ის მისიის ხელმძღვანელს პიტერ ვიბლერსა და მის თანაგუნდელებს შეხვდნენ. ღონისძიების ფარგლებში მხარეებმა ერთმანეთს გააცნეს ის საქმიანობა და პრიორიტეტები, რომლებიც გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების მიმართულებით არის დაგეგმილი.

## ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საკონსულტაციო ჯგუფის სამუშაო შეხვედრა

მიმდინარე წლის 19 აპრილს გაიმართა ძალადობის თემატური ჯგუფის სამუშაო შეხვედრა სტამბოლის კონვენციის პაკეტის დაახლოების საკითხზე. შეხვედრის ფარგლებში გაიმართა თემატური მოკვლევის „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობისპრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის იმპლემენტაცია“ პრეზენტაცია და სპიკერმა წარმოადგინო ანგარიშის საკვანძო მიგნებები.